შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (9.723)

12-19 მარტი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ივანე კეზუას პერსონალური გამოფენა

გვ.8

ძლიერი ქალი ძლიერი ქვეყნის საწინდარია

გვ.3

გვ.3

„მოსახლეობამ სწორი აქცენტები გააკეთა“...

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „სოფლის კრებები თხუთმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩავატარეთ. ბოლო შეხვედრა სოფელ სამრეკლოში გაიმართა და უნდა ითქვას, რომ საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვარ. მოსახლეობამ სწორი აქცენტები გააკეთა და ეფექტურად განკარგა ის თანხა, რაც თითოეული სოფლისთვისაა გათვალისწინებული. ამ თანხებს ასევე ადგილობრივი დაფინანსებაც დაემატება, რადგან, ზოგჯერ წინასწარ გათვალისწინებული თანხები საკმარისი არ არის“...

ზვიად ჯავახიშვილი: „ჩვენი ხელისუფლების პირობებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით არაერთი პროექტი განხორციელდა: გარემონტდა საბავშვო ბაღები, კეთილმოეწყო სკვერები, შიდა გზები, სპორტული მოედნები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პროგრამით განსაზღვრული მიმართულებებისა და ადგილობრივი საჭიროებების განსაზღვრა მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით ხდება“...

მე ვარ ქალი და, მაშასადამე, ვარ დისკრიმინირებული

გვ.5

გვ.5

სოფიოს ბლოგი

„წითური გენერალი“ პანკისიდან კვლავ ცოცხალია?!

გვ.7

რა ელით ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად მცხოვრებ ქართველებს უვიზო რეჟიმის პირობებში

გვ.6

კვირიკაშვილი გაფრინდაშვილს მოუწოდებს, თსუ-ს არჩევნებიდან მოხსნას კანდიდატურა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს და უნივერსიტეტის კანცლერის პოსტზე წარდგენილ გიორგი გაფრინდაშვილს მოუწოდა, არჩევნებიდან მოხსნას კანდიდატურა „ახალგაზრდებს შორის რაიმე სახის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად“. კვირიკაშვილი წერს, რომ ხელისუფლება პრიორიტეტულად მიიჩნევს უმაღლეს სასწავლებლებში მმართველობის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. „გამომდინარე იქიდან, რომ ამ ესკალაციის ფონზე გაჩნდა გარკვეული ეჭვები ხელისუფლების მხრიდან პროცესში ჩარევის კუთხით, მინდა ვთხოვო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ვლადიმერ პაპავას, მაქსიმალურად უზრუნველყოს პროცესის დამოუკიდებლობა და არჩევნების პროცესის გამჭვირვალობა; ასევე, მინდა ვთხოვო საბჭოს წევრებს, რომლებიც მხარს უჭერენ გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას და თავად გიორგი გაფრინდაშვილს, გაითვალისწინოს არსებული სიტუაცია და, ახალგაზრდებს შორის რაიმე სახის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, საკუთარი კანდიდატურა არჩევნებიდან მოხსნას“ - ვკითხულობთ პრემიერ-მინისტრის განცხადებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრძელდება სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები. მათი მოთხოვნები უცვლელია - მოიხსნას კანცლერის პოზიციაზე გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურა, დაიწყოს გამოძიება უნივერსიტეტში ე.წ. “ოდეერის” ინსტიტუტის არსებობის შესახებ, მოხდეს კანცლერის არჩევის სისტემის რეფორმირება, შეწყდეს თვითმმართველობის პრივილეგიების წახალისება ადმინისტრაციისა და რექტორატის მხრიდან.

პრემიერმა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიება დაავალა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სოციალურ ქსელში რამდენიმე საათის წინ გავრცელებულ პირადი ცხოვრების ამსახველ მასალასთან დაკავშირებით ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელობასთან საგანგებო თათბირი გამართა. ინფორმაციას აღნიშნული შეხვედრის შესახებ მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

“საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სოციალურ ქსელში რამდენიმე საათის წინ გავრცელებულ პირადი ცხოვრების ამსახველ მასალასთან დაკავშირებით ძალოვანი უწყებების პირველი პირები შეკრიბა და მათ მომხდარის დაუყოვნებლივ გამოძიების დავალება მისცა.

პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ გავრცელების ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიება უკვე დაიწყო.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური დაესწრნენ”, - აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში.

დიმიტრი ქუმსიშვილი - მომავალ წელს ჩვენი პოზიციები გაცილებით უკეთესი იქნება

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო მრგვალ მაგიდაში, რომელსაც Heritage Foundation-ის ხელმძღვანელი პირები და ამავე ორგანიზაციის მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემის Economic Freedom Index-ის მთავარი ექსპერტები დაესწრნენ.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში განაცხადეს, შეხვედრაზე დიმიტრი ქუმსიშვილმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებულ რეფორმებზე, მათ შორის, იმ გადაწყვეტილებებზე, რომ ბიზნესი საქართველოში კიდევ უფრო თავისუფალი იყოს და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს ბიზნესს განვითარებისთვის.

„შეხვედრა იყო ძალიან კონსტრუქციული, მონაწილეების მხრიდან ძალიან საინტერესო კითხვები იყო დასმული. ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს ჩვენი პოზიციები ეკონომიკის თავისუფლების მიმართულებით გაცილებით უკეთესი იქნება“, - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

შეხვედრაზე ვიცე-პრემიერმა ხაზი გაუსვა აშშ-ის დახმარების მნიშვნელობას რეფორმების წარმატებით განხორციელების საქმეში. დიმიტრი ქუმსიშვილმა ასევე, აქცენტი გააკეთა ევროკავშირთან დაახლოების პროცესზე და იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც საქართველო ამ მიმართულებით იღებს.

ვიცე-პრემიერთან შეხვედრაზე ფონდის ხელმძღვანელობამ ხაზი გაუსვა იმ წარმატებას, რომელსაც საქართველოს მთავრობამ მიაღწია ბოლო წლებში ეკონომიკური რეფორმების გატარების კუთხით. ამავდროულად, მათ დაადასტურეს მხარდაჭერა ყველა იმ ინიციატივის მიმართ, რომელთა მიზანსაც ქვეყნის კიდევ უფრო მეტად განვითარება წარმოადგენს.

„ვიცე-პრემიერთან შეხვედრაზე იმ შესანიშნავ პროგრესზე ვისაუბრეთ, რომელსაც საქართველომ ეკონომიკური და სოციალური კუთხით მიაღწია. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კუთხით საქართველოს ძალიან კარგი კურსი აქვს აღებული. თქვენ ხართ მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კუთხით 23-ე ადგილზე. ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველომ საგრძნობლად გაიუმჯობესა პოზიციები ანგარიშებში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ის რაც დღეს აქ მოვისმინეთ. გაცილებით დიდია პროგრესი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების კუთხით“, - განაცხადა ვაჭრობისა და ეკონომიკის ცენტრის დირექტორმა, ელჩმა ტერი მილერმა.

„მინისტრთან შეხვედრა იყო ძალიან კონსტრუქციული. ჩვენ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ორივე ქვეყანამ - შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ერთმანეთისთვის ორმხრივად სასარგებლოდ გააკეთოს. ხაზი მინდა გავუსვა ეკონომიკური თავისუფლების ყოველწლიურ ინდექსს, სადაც საქართველომ შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია. ველოდებით, რომ საქართველო ამ კუთხით კიდევ უფრო გაიუმჯობესებს პოზიციებს. ჩვენ ღრმად გვწამს ღია საზღვრების მნიშვნელობის. საქართველომ ძალიან ბევრი გააკეთა სავაჭრო ბარიერების შემცირების კუთხით, რათა უფრო გახსნილი ყოფილიყო ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის. ეს არის ის პოლიტიკა, რომელიც ჩემი აზრით, საქართველოსგან სხვა ქვეყნებმა უნდა ისწავლონ. ვიცე-პრემიერმა ახსენა რამდენიმე ეკონომიკური ინიციატივა. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ ასოცირების შეთანხმებამ ვაჭრობის კუთხით, რომელიც საქართველოს ევროპასთან გააჩნია. ასევე, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები ჩინეთთან, რომელსაც საქართველო ამჟამად აწარმოებს”, - განაცხადა ვაჭრობისა და ეკონომიკის ცენტრის ანალიტიკოსმა ენტონი კიმმა.

Heritage Foundation “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი” 2016-ის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 23-ე პოზიციაზეა კვლავ “უმეტესად თავისუფალი” სტატუსით. 2015 წელს, საქართველო 22-ე ადგილს იკავებდა 73 ქულით.

2016 წლის შეფასებით, საქართველო, ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის მე-12 ადგილს იკავებს.

საქართველო უსწრებს შემდეგ ქვეყნებს, როგორიცაა: ფინეთი, შვედეთი, სამხრეთ კორეა, ავსტრალია, ისრაელი, ლატვია, პოლონეთი, ესპანეთი, ბელგია, მაკედონია, სომხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, თურქეთი, იტალია, აზერბაიჯანი, რუსეთი და სხვა.

2016 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს 2 კომპონენტში წამყვანი პოზიციები უკავია, კერძოდ: ვაჭრობის თავისუფლების კომპონენტში, 178 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია და მე-7 ადგილს იკავებს, ხოლო ბიზნესის თავისუფლების კომპონენტში მე-14 ადგილი უკავია.

სტუმრად სათნოების სახლში

10 მარტს,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრთან არსებული ბავშვთა ხელოვნების სტუდია „არლეკინოს“ პატარა მსახიობები (ხელმძღვანელი ნინო ლოლაშვილი), სტუმრად იმყოფებოდნენ სათნოების სახლში და ულამაზესი ღონისძიებით მოხუც ქალბატონებს, მიულოცეს გაზაფხულის მოსვლა და მარტის დღესასწაულები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობისა და, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ ბახუტაშვილი.

დასასრულს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა, მიულოცა მოხუცებს გაზაფხულის მოსვლა და ქალთა დღესასწაულები. მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის, მონაწილე ბავშვებს და მათ ხელმძღვანელს ნინო ლოლაშვილს კი, მშვენიერი ღონისძიების ჩატარებისათვის, რომლებმაც ერთი ლამაზი დღე აჩუქეს მოხუცებს.

ფოლკლორული ანსამბლი „განთიადი“

1 მარტს სოფელ ოზაანის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ქალთა დღესასწაულებს. ამ დღეს,მაჩხაანის ზონის ფოლკლორული ანსამბლი „განთიადი“ (ხელმძღვანელი ლევან ხუნაშვილი) პირველად წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანსამბლის ყველა წევრი არის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომელი. მათ სულ რაღაც თვენახევარში, დადეს შესანიშნავი შედეგი. და სასიამოვნო საღამო აჩუქეს დამსწრე საზოგადოებას

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, ნანული ნატროშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები, გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ოზაანში.

დასასრულს, მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა მადლობა გადაუხადა ანსამბლის წევრებსა და მათ ხელმძღვანელს ლევან ხუნაშვილს დაუღალავი და აქტიური მუშაობისათვის, მომავალი წარმატებები უსურვა მათ, დამსწრე საზოგადოებას მიულოცა გაზაფხულის პირველი დღე, ქალბატონებს-მარტის დღესასწაულები და გადასცა მათ იების პატარა თაიგულები.

მიგრანტთა კრიზისი აქტუალურია

გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, ევროპულმა სახელმწიფოებმა მიგრანტებისთვის ე.წ. „ბალკანეთის მარშრუტის“ გადაკეტვაზე ცალმხრივი გადაწყვეტილება მიიღეს.

როგორც “ბიბისი” იტყობინება, ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა რადიო „MDR“-სთან საუბარში განაცხადა.

მისი თქმით, ამ გადაწყვეტილების გამო საბერძნეთი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, ხოლო მარშუტის გადაკეტვა მიგრაციული კრიზისის პრობლემას ვერ მოაგვარებს.

„პირადად მე მიმაჩნია, რომ ავსტრიის ცალმხრივი გადაწყვეტილება და შემდეგ, ბალკანეთის ქვეყნების ქმედებები, გამოიწვევს მიგრანტთა ნაკადის შემცირებას ჩვენთან, მაგრამ ამავდროულად ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს საბერძნეთს“,- განაცხადა მერკელმა და იქვე დასძინა, რომ მიგრანტების საკითხზე თურქეთთან შეთანხმების მიღწევა აუცილებელია.

გასულ თვეს ავსტრიამ განაცხადა, რომ დღეში გერმანიაში მიმავალ მხოლოდ 3 200 მიგრანტს გაატარებს. ამის შემდეგ სლოვენიამ, ხორვატიამ, სერბეთმა და მაკედონიამ მიგრანტების მიღებასა და თავშესაფრის გაცემაზე შეზღუდვები დააწესეს. გარდა ამისა, უნგრეთის ხელისუფლებამ საზღვრებზე პოლიციელებისა და სამხედროების რაოდენობა გაზარდა.

7 მარტს ბრიუსელში ევროკავშირის ქვეყნებისა და თურქეთის სამიტი გაიმართა, რა დროსაც მხარეებმა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს და განაცხადეს, რომ ამიერიდან ბალკანეთის მარშრუტი, რომლის გავლითაც მიგრანტები დასავლეთ ევროპაში ჩადიოდნენ, დაიხურა.

ამას ბერლინის პროტესტი მოჰყვა: როგორც გერმანიის კანცლერმა განაცხადა, საჭიროა ისეთი გადაწყვეტილების მოძებნა, რომელიც ევროკავშირის 28-ვე წევრ სახელმწიფოს დააკმაყოფილებს.

„მოსახლეობამ სწორი აქცენტები გააკეთა“...

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება იწყება. პროგრამის პირველ ეტაპს იმ პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა წარმოადგენს, რომლებიც პროგრამის ფარგლებში უნდა მოგვარდეს. დედოფლისწყაროში, მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის საერთო კრებები ჩატარდა, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა. ისინი წლების განმავლობაში მიეჩვივნენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თავად უნდა დაასახელონ ის პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მათი სოფლისა თუ ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დასახელებული საკითხებიდან კი ყველაზე პრიორიტეტულად ერთი მათგანი გამოყონ. ასეთი პოლიტიკის წყალობით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ბევრი პრობლემა მოუგვარდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 418 215 ლარი გამოიყო. ამ პროექტის განხორციელებისას ადგილობრივი ბიუჯეტიც შევა თანადაფინანსებით.

როგორ ჩაირა მოსახლეობასთან შეხვედრებმა?- შეფასება ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის პირველ პირებს:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი): *„სოფლის კრებები თხუთმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩავატარეთ. ბოლო შეხვედრა სოფელ სამრეკლოში გაიმართა და უნდა ითქვას, რომ საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვარ. მოსახლეობამ სწორი აქცენტები გააკეთა და ეფექტურად განკარგა ის თანხა, რაც თითოეული სოფლისთვისაა გათვალისწინებული. ამ თანხებს ასევე ადგილობრივი დაფინანსებაც დაემატება, რადგან, ზოგჯერ წინასწარ გათვალისწინებული თანხები საკმარისი არ არის და ვცდილობთ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავეხმაროთ, რომ მოსახლეობის სურვილების ხორცშესხმა არ შეფერხდეს. ამას გარდა, წელს ორი მილიონ ლარზე მეტი რეგიონული განვითარების ფონდიდან იხარჯება ჩვენს მუნიციპალიტეტში. ასევე, ცალკეული სამინისტროები თავიანთ დარგებში სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ. რაც შეეხება მთლიანობაში, სოფლის კრებებზე რა საკითხები იყო ადგილობრივებისთვის პრიორიტეტული, მოგახსენებთ, რომ სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა პრობლემა იჩენს თავს. იცით, რომ გასულ წლებში ქედების ზონაში წყალმომარაგების საკითხებზე სოლიდური ფინანსები დაიხარჯა, შედეგად, წყლის პრობლემა მოიხსნა, სწორედ ამიტომაც წელს სოფლის კრებებზე უკვე სხვა საკითხები წამოჭრეს. მაგალითად, დაისვა გარე განათების საკითხები, სასაფლაოების, მემორიალების კეთილმოწყობის საკითხები, სპორტული მოედნების და ინფრასტრუქტურის მოწყობა. ბევრ სოფელში, უბნების უმრავლესობაში, გარეგანათება მოწესრიგებულია, თუმცა, ითხოვენ დარჩენილი უბნების განათებას, ზოგიერთი უბნის გზის მოხრეშვას. სოფლის პროგრამის დასრულების შემდეგ, წლის ბოლოს, დედოფლისწყაროს სოფლები ერთ-ერთი ყველაზე განათებული იქნება და ეს პრობლემა დღის წესრიგში აღარ იქნება“.*

ზვიად ჯავახიშვილი: (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) *ჩვენი ხელისუფლების პირობებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით არაერთი პროექტი განხორციელდა: გარემონტდა საბავშვო ბაღები, კეთილმოეწყო სკვერები, შიდა გზები, სპორტული მოედნები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პროგრამით განსაზღვრული მიმართულებებისა და ადგილობრივი საჭიროებების განსაზღვრა მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით ხდება, რაც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეების ჩართულობას და მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობების განმტკიცებას უწყობს ხელს. სოფლებში ინფრასტრუქურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის წელს 418. 2015 ლარი გამოყო. ჩვენი მიზანია, მოსახლეობის ნება კეთილსინდისიერად შევასრულოთ და მათ მიერ არჩეული პროექტების ხარისხიანად შესრულება უზრუნველვყოთ, რაც, დამერწმუნეთ, ასეც იქნება.*

სამოქალაქო საზოგადოების როლი პრობლემების მოგვარებაში

ძლიერი ქალი ძლიერი ქვეყნის საწინდარია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) დაფინანსებით, პროექტის „ეკომიგრაცია-დიალოგი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სისტემური რეფორმისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის“- ფარგლებში სოფელ ფიროსმანში, მრავალშვილიანი დედებისთვის განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ, სოციალურად დაუცველ 16 მრავალშვილიან ოჯახს გარგარის ბაღების გასაშენებლად გადაეცა 576 სერთიფიცირებული ნერგი (თითოეულს-36) და ადგილზე CENN-ის ექსპერტების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი გარგარის ბაღის გაშენება-მოვლის , ასევე, ბიოსასუქის-კომპოსტის დამზადების ტექნოლოგიების შესახებ და დაურიგდათ თემატური სახელმძღვანელოები. ფიროსმანის საჯარო სკოლის 6 მოსწავლე კი ბულაჩაურის „მწვანე ცენტრში“ მონაწილეობას იღებდა „ეკო-ბანაკის“ აქტივობებში, სტუმრობდნენ ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სამინისტროს, ბულაჩაურში მათთან შეხვედრაზე იმყოფებოდა სოზარ სუბარი- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, რომელმაც მოისმინა ფიროსმანელ ეკომიგრანტთა პრობლემები და ბავშვებს საჩუქრად სპორტული ფეხსაცმელები გადასცა. ეკო-ბანაკის მონაწილეებს სამახსოვრო ზურგჩანთები, კომპასები , გლობუსი და სხვასხვა საჭირო ნივთები გადასცა CENN -ის აღმასრულებელმა დირექტორმა ნანა ჯანაშიამ.

ამ დღეებში ბულაჩაურში ჩატარდა ამ პროექტის-რეგიონული შემაჯამებელი კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ: პროექტში ჩართული მხარეების კოორდინატორები, ევროკავშირის, საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთის შესაბამისი სამთავრობო უწყებების და სამიზნე დონორი და მიმღები რეგიონების წარმომადგენლები.

კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს ამ პროექტის („ეკომიგრაცია-დიალოგი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სისტემური რეფორმისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის“) მნიშვნელობაზე და სამთავრობო ინიციატივებზე .

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ჩარჩოების არარსებობისა, საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული, ძირითადი ზომები ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული პირების დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად. 2013 წელს შემუშავდა ეკომიგრანტთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტი. მასში მოცემულია ეკომიგრანტის განმარტება და განსაზღვრულია გარკვეული გარანტიები იმ პირებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ ეკომიგრანტის სტატუსის მიღება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო წარმოადენს კომპეტენტურ უწყებას, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მიგრაციის რეგულირების, მუდმივი და დროებითი ალტერნატივების უზრუნველყოფას, ასევე, ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული პირების ადაპტაცია/ინტეგრაციის ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის სფეროში. 2013 წელს შეიქმნა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების მარეგულირებელი კომისია(მინისტრის ბრძანება N 779). 2014 წელს კი სამინისტროში შეიქმნა ეკომიგრანტთა დეპარტამენტი (მინისტრის ბრძანება N 1206), რომელიც დაკომპლექტდა 12 თანამშრომლით და უკვე მეორე წელია, ზრუნავს სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებზე. ბრძანება N 779 აყალიბებს ეკომიგრანტების ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოებს, თუმცა, სახსრების სიმცირის გამო 2014 წელს ალტერნატიული საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 33 ოჯახი. 2015 წლისთვის ეკომიგრანტებისთვის სახლების შესაძენად გამოყოფილი ფინანსური რესურსები სამჯერ გაიზარდა. ეს არის ეტაპობრივი პროცესი და დაზარალების კატეგორიების შესაბამისად, ხდება ბენეფიციარების დაკმაყოფილება. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლიდან , ერთეული ბინის შესაძენი თანხა 20 000 ლარიდან გაიზარდა 25 000 ლარამდე, თანაც ეკომიგრანტი თავად ირჩევს საცხოვრებელ ადგილს და ბინას განსახლებისთვის, ეს არის საკითხისადმი უფრო ლიბერალური მიდგომა ანუ გამოირიცხება იძულებითი განსახლების მომენტი.

ამ პროექტით დაწყებული საქმიანობის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება იქნეს აღქმული პროექტი „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“, რომელსაც, ასევე, ევროკავშირის დაფინანსებით, ახორციელებს ევროპის ფონდი დემოკრატიის ინსტიტუტთან და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“ერთად. მათ მიერ მომზადებული საბაზისო კვლევის ანგარიში წარმოდგენილ იქნა 25 თებერვალს სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრეზენტაციაზე.

ეკომიგრანტების საარსებო გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „CIDA“-მიერ ეკომიგრანტების ჩასახლებებში დაგეგმილი აქტივობები, რომლის ფარგლებშიც სოფელ სამთაწყაროში მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამონაწილეობით, დაგეგმილია გარკვეულ მონაკვეთზე წყალგაყვანილობის შიდა ქსელის მოწყობა. ასევე, გათვალისწინებულია სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ეკომიგრანტი ქალებისთვის მცირე საგრანტო კონკურსი 1000 ევროიანი დაფინანსებები მცირე ბიზნესის განვითარების კომპონენტით. სამთაწყაროდან პირველ ეტაპზე უკვე წარადგინა განაცხადი რვა ქალმა. როგორც პროექტის კოორდინატორმა შორენა კოჭლამაზაშვილმა გვითხრა, მარტში, კვლავ გაიმართება შეხვედრა სამთაწყაროელ ეკომიგრანტ ქალებთან , კონკურსის მეორე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად.

საუკეთესო იდეის მიხედვით შერჩეული ქალბატონები გაივლიან ტრენინგს ბიზნეს-გეგმის წერაში და დაფინანსების შემთხვევაში, განავითარებენ საკუთარ ბიზნესს.

გვინდა წარმატებები ვუსურვოთ ამ აქტიურ ქალბატონებს , მათთან ერთად კი ყველა ქალს მივულოცოთ დედის დღე და 8 მარტი, ქალებს ხომ ბევრის გაკეთება ძალუძთ, სწორედ მათ სიძლიერეზეა დამოკიდებული ქვეყნის ძლიერება და ერის გამრავლება.

ანა ბენაშვილი,

მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში.

ქალი, რომელიც საოპერო თუ თეატრალურ წარმოდგენაზე დასასწრებად საყვარელ ოჯახურ ნივთსაც კი შეელევა...

გინახავთ, კულტურაზე ისე შეყვარებული ქალბატონი, რაიონიდან ყოველი სპექტაკლის სანახავად მანძილს რომ არ ეპუებოდეს? ალბათ იშვიათად... ასეთი სასიამოვნო გამონაკლისია ჩვენი რაიონის კოლორიტი ნანა ჭიჭინაძე, ქალი, რომელიც საოპერო თუ თეატრალური წარმოდგენის გამო საყვარელ ოჯახურ ნივთსაც კი შეელევა...

—„ისეთი ამბავი იყო და ისეთი ხალხის მიწვევაზე საუბრობდნენ, მე არც კი მიფიქრია, ვინმესთვის იქ დასწრება მეთხოვა, თუმცა, მთელი წელი ველოდი ამ გახსნას. 30 იანვრის საღამოს ჩემს ტელეფონზე, მოულოდნელად, ზარი განხორციელდა, საოპერო ხელოვნების ვარსკვლავმა, მედეა ამირანაშვილმა ტელეფონში მითხრა,- მოდი, სად ხარ, შენი მოსაწვევი ხელში მიჭირავსო. სიხარულით კი არ მივდიოდი, მივფრინავდი!“-ასე იხსენებს ის ექვსწლიანი პაუზის შემდეგ განახლებული ოპერის გახსნის ცერემონიაზე დასწრების ამბავს. ამ სიტყვებს მხოლოდ ის

ადამიანი თუ იტყვის, ვინც ხელოვნების ამ დარგზე უზომოდ შეყვარებულია. ცნობილმა საოპერო მომღერალმა ელდარ გეწაძემ ერთ-ერთ შეხვედრაზე მასზე თქვა: -„არსებობს ქალი, რომელიც რეგიონიდან ჩამოდის, რეგიონის ამბებს გვამცნობს, შემდეგ ჩვენგან მიდის და რეგიონს უყვება ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეებზე, ის გახლავთ ქალბატონი, რომელიც საუკეთესო მაგალითია იმის, თუ როგორ უნდა გაიდოს ხიდი დედაქალაქისა და რეგიონის კულტურულ ურთიერთობებს შორის.“ მისთვის არ არსებობს არც დროში, არც სივრცეში შეზღუდვა და არც ეკონომიური პრობლემა, ეს ის თემაა, რომლისთვისაც ყველაფერი მიღწევადი ხდება. მთავარია, თბილისამდე ჩააღწიოს, დედაქალაქის ჰაერი ჩაყლაპოს და მერე ყველა და ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება. შეიძლება ჩვენ არ გვესმის და ოპერისადმი მისი ასეთი თავდავიწყებული სიყვარული რეგიონში მცხოვრები ადამიანისთვის ირეალურად გვეჩვენება, ანდა ცოტა იუმორთანაც ვიგიგებთ, მაგრამ თბილისის მაღალ საზოგადოებას საუკეთესოდ ესმის მისი რომანტიზმი და განუსაზღვრელი სიყვარული ოპერისა და ბალეტისადმი. მეტროს ფული რომ არ ჰქონია, ფეხითაც უვლია, რომ ცენტრამდე მიეღწია, მშიერიც ყოფილა და ცივი საწოლიც ჰქონია, შესაძლოა, ბევრჯერ დაყვედრებული მასპინძლობაც უგრძვნია და კარის ცხვირწინ მოხურვის მძიმე დარტყმაც განუცდია, მაგრამ სურვილს წინ მაინც ვერაფერი დადგომია. ერთხელ მითხრა, -ოპერა ისე მიყვარს, სახლიდან უკანასკნელ თეფშს გამოვიტან, გავყიდი და ოპერაში ნაუსვლელობას არ დავუშვებ, ეს ჩემი ცხოვრებაა.- ამ სიტყვებით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი და ნათელი ხდება, თუ როგორ შეიძლება გადაიქცეს დედოფლისწყაროელი ქალი მაღალი კლასის მუსიკის მელომანად, ამასაც ხომ ნიჭი უნდა... დედოფლისწყაროს ქუჩებში სულ უბრალოდ ჩაცმულ - დახურული დადის, ადამიანებს თბილად ესალმება და კითხულობს, ყველანაირი შური, ბოღმა, ამბიცია მისთვის უცხოა...მხოლოდ ოპერისა და თეატრის ჰაერით სუნთქავს.

მინი დოსიე: დაიბადა ნითელწყაროში, 1946 წელს. მამა- მიშა ჭიჭინაძე დამსახურებული მექანიზატორი იყო. დედა,- პროფესიით ბუღალტერი, ბავშვობის მოგონებებიდან რაც ახსოვს, ისაა, რომ პედაგოგები მის დაჩაგვრას ბევრჯერ შეეცადნენ... თუმცა, ცუდი დღეების გარდა, კარგი დღეებიც ახსოვს.

-სკოლის დირექტორი ნასყიდა ალადაშვილი მუდამ კარგ მოსწავლედ მთვლიდა, 600 მოსწავლიან სკოლაში საუკეთესოდ დამასახელა, ხოლო თანაკლასელებმა კლასის ორგანიზატორად ამირჩიეს. დღემდე მომდევს ორგანიზატორობის ნიჭი, ბედი იმით მქონდა, რომ სულ კარგ ხალხში ვტრიალებდი, კარგ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა. 50 წელი შემისრულდება, რაც საზოგადოებრივ საქმიანობას ვენევი.

-როგორ განვითარდა თქვენთვის სკოლის-შემდგომი ეტაპი?

-პირველსავე წელს ჩავირიცხე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან მეორად ფაკულტეტზე -ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე გამოცდები და ორივე ფაკულტეტი დავამთავრე. ყველგან, ორივე ჯგუფში ჯგუფხელი ვიყავი, რაც ჩემს ორგანიზატორულ ნიჭს კიდევ უფრო კარგად წაადგა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე წითელწყაროს რაიაღმასკომის საქმეთა მმართველად, შემდეგ პარტიის რაიკომში ტექნიკურ მდივნად გადავედი, ვმუშაობდი სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირში ჯერ ინსტრუქტორად, მერე მოადგილედ, ბოლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმადგინეს და ვიყავი მთავარი სპეციალისტი. აღნიშნული სამსახურის გაუქმების შემდეგ დამნიშნეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარ სპეციალისტად „სერვისი 2007“-ში,თუმცა, შტატი გაუქმდა და უსამსახუროდ დავრჩი.

-მოდით თქვენს მიერ ჩამოყალიბებულ მწიგნობართა ასოციაციაზე ვისაუბროთ...

-მიუხედავად ყველაფრისა, ფარ-ხმალს არასოდეს ვყრიდი, მალე საზოგადოებრივ საწყისებზე შუამდგომლობა მომცეს და დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია დავაარსე, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ ექიმი ვანო ნატროშვილი, ხოლო მოადგილე მე გახლავართ. წლების მანძილზე ვმუშაობ და ვთანამშრომლობ სხვადასხვა რესპუბლიკურ გაზეთებში. უკვე 20 წელი ხდება, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვმუშაობ, 15 წელი- საქართველოს ლირიკაში. გარდა ამისა, წლების მანძილზე ვიყავი რაიონული პროფკავშირების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, შესული ვარ წიგნში „რაჭის გამოჩენილი ადამიანები“, ხოლო „კახეთის გამოჩენილ ადამიანთა“ წიგნშია შესული მამაჩემი, როგორც დამსახურებული მექანიზატორი. ჩემს სახლში ვინ აღარაა ნამყოფი,დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ნატროშვილი, გურამ ფანჯიკიძე. ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ თავს, რადგან სულ გამოჩენილ ადამიანებთან მიწევდა და მიწევს ურთიერთობა...

- რას ნიშნავს თქვენთვის ოპერა და ბალეტი?

- ყოველთვის ვცდილობ, არ ჩამოვრჩე კულტურულ ცხოვრებას. ერთადერთი, რაზეც დასწრება ვერ მოვახერხე, მაია ჯაბუას კონცერტი იყო, დანარჩენი ამ სეზონის ყველა ოპერა, ყველა ბალეტი და ყველა სპექტაკლი ნანახი მაქვს, ზოგიერთი ოპერა, უკვე ვინ იცის, მერამდენედ მაქვს მოსმენილი, მაგრამ ყოველი ნახვა ახალ-ახალ ემოციას ინვევს ჩემში, მე შემიძლია გავძლო სიცივეში, ვიარო ნვიმაში, ქარში, თოვლში, დავწვე მთლად მოღებულ აივანზე სიცივეში თბილისის რომელიმე ჩემს მასპინძელთან, ოღონდ საღამოს ვნახო „ჟიზელი“, მოვისმინო „დაისი“.

-მახსენდება, სოფლის მეურნეობის პროფკავშირებში რომ ვმუშაობდი, ნიკო მამაიაშვილს ვუთხარი ერთხელ, ნინო ანანიაშვილი ასრულებს ჟიზელის მთავარ პარტიას მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე და უნდა წავიდე -მეთქი, მამაიაშვილმა მითხრა, -რაკი ასე ალალად მითხარი და მთხოვე, წადი, გიშვებო. წავედი და ნინოს ჩავუტანე ჩვენებური ჩურჩხელები, რომელიც მას ოპერის დანყებამდე მივართვი. ისე გაუხარდა, რომ არ ვიცი, ვერ აღვწერ. მაშინ ნინოსთან ცეკვავდა და პარტნიორობას უწევდა ანდრი სლიეპა. ნინომ ჩემი ჩურჩხელები ანდრის აჩუქა. ამას წინათ ანდრი აქ იყო ჩამოსული, მე მივედი და თავი იმ ჩურჩხელებით გავახსენე, მან მითხრა, მე იმ ჩურჩხელის გემო არ დამვიწყებია, ასეთი გემრიელი ჩურჩხელა მას მერე არ მიჭამიაო.

-თბილისის საოპერო ხელოვნების მაღალი საზოგადოების თითქმის ყველა ვარსკვლავი გიცნობთ, ისე, რომ, თქვენი ერთი თხოვნა და ისინი რეგიონშიც კი ჩამოდიან და აქაურ ხალხს საოპერო ხელოვნების ნიმუშების ცოცხლად მოსმენის სიამოვნებას ანიჭებენ. ის, რაც თქვენს ენთუზიაზმს შეუძლია, ბევრს არ შეუძლია, ამას ყველა ვერ გააკეთებს. მაგალითისთვის ისიც კმარა, ნანა მერაბიშვილის და სვეტლანა შალვაშვილის საღამოზე დოდო დიასამიძე და მთელი მისი დასი რომ ჩამოიყვანეთ, ხალხი აღფრთოვანებული დარჩა, დარბაზში ტაში არ ცხრებოდა.

-კი, ის შეუდარებელი საღამო იყო, ამის მერე არავინ თქვას, რეგიონში ხალხს გემოვნება არ აქვსო, აქვთ და მერე როგორი! საოპერო ხელოვნების ყველა წარმომადგენელმა იცის, რომ მე არანორმალურად მიყვარს ოპერა და უამისოდ ვერ ვძლებ, ისინი რამდენადაც დიდი ადამიანები, იმდენად უბრალოები და ჰუმანურები არიან. 30 იანვარს ოპერის გახსნაზე, ხომ აცხადებდნენ, მხოლოდ გამორჩეული ადამიანები დაიშვებიანო და იქ ბევრმა მართლაცდა მაღალი ფენის ადამიანმა ვერ შეაღწია, არც მე ველოდი იქ მისვლას, მაგრამ მედეა ამირანაშვილმა სასიამოვნო სიურპრიზი მომიწყო... იმ დიდმა ადამიანებმაც იციან ადამიანების ფასი და თვით ყველაზე დიდებულ დღეს არ დამივიწყა ქალბატონმა მედეამ. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?! ყველა სპექტაკლზე პირველ-მეორეში თუ არა, მესამე რიგში მაინც მუდმივად არის ჩემთვის ადგილი. იმ ქვეყანას ვერც ქონებას წაიღებ, ვერც ფულს და ვერც სახლ-კარს, სულიერება და სახელი კი გაგყვება. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოკრძალებული ცხოვრების მანძილზე ვიცნობ და სახლშიც ვსტუმრობ მედეა ამირანაშვილს, ლეილა აბაშიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, ლალი ბადურაშვილს, ქეთევან კიკნაძეს, ელდარ შენგელაიას, ომარ მხეიძეს, ფრიდონ სულაბერიძეს, ნანი ბრეგვაძეს, ერნა წიფურიას, პოეტებს მარინა ცხვედიაშვილს, მაყვალა გონაშვილს, დირიჟორებს ნიკა მემანიშვილს და გოგი ჭიჭინაძეს. ახლოს ვიყავი და ნათესავადაც მეკუთვნოდა აწ გარდაცლილი დოდო ჭიჭინაძე. ფეხით გავივლი თბილისის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე და მაინც არ გავაცდენ ოპერას, მისი დასრულების შემდეგ კი ყველა ტაქსით რომ მიდის, მე ფეხით გავყოლივარ გზას, მაგრამ მაინც არაფერი მაკლდება, ცივ ოთახში, აივანზე, სარდაფში და სხვენშიც დავიძინებ, მაგრამ თბილისის კულტურულ საღამოებს არ მივატოვებ, იქ ცხოვრება დუღს, იქ მთელი საქართველოს გული ფეთქავს, თავისი კულტურით, თავისი ხალხით და ქუჩებით.

-ისიც მინდა გკითხოთ, რომ კლასიკური მუსიკის საუკეთესო მსმენელის ხუთეულში ხართ დასახელებული, ვინ არის დანარჩენი ოთხი წევრი?

-მინდა გაგაცნოთ. ესენი არიან: მელომანი მალხაზ აბდუშელიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ინეზა მერაბიშვილი, მეცნიერ- მუშაკი ნანა ბროძელი და „ამაგდარის“ გამგეობის თავმჯდომარე ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ხოლო მეხუთე ვარ მე, თქვენი მონა- მორჩილი.

-გითქვამთ ისიც, რომ არაერთხელ გაგჭირვებიათ ღამე სადმე დარჩენა და ბინის პრობლემა არაერთხელ შეგქმნიათ.

-კარის ცხვირწინ მოხურვაც მიგემია, მაგრამ ეს არაფერია იმასთან, როდესაც ისეთი დიდი ადამიანები გცემენ პატივს, როგორებიც მე ჩამოვთვალე. ჩემთვის ყველა მაღალი კლასის დარბაზების კარია ღიაა. თვით ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ისე მცემს პატივს, რომ არასოდეს მეუბნება უარს, ეროვნული ბიბლიოთეკის სვეტებიან დარბაზში დავგეგმო ღონისძიება. თქვენ პირველი ჟურნალისტი ხართ, რომელმაც ჩემზე სტატია დაწერეთ და რამეზე უარს როგორ გეტყვით, ქალბატონო ნანაო?! -მითხრა გიორგი კეკელიძემ ერთხელ. საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის ყველაფერია. ხშირად სპექტაკლები გვიან მთავრდება, ღამის 12 საათზეც კი, მაგალითად „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ 12-ის ნახევარზე დასრულდა, ჩემთვის ფუფუნებაა ამ დროს ტაქსით სახლში წასვლა, რომელსაც თითქმის ყველა მაყურებელი მიმართავს ხოლმე ასეთ შემთვევაში. თუმცა, საბედნიეროდ არსებობენ ღვთისნიერი ადამიანები და მასპინძლებიც, ვინც სახლის კარს არ მიხურავენ(სამწუხაროდ, ამ ადამიანების პრინციპული მოთხოვნით, მათ დასახელებას საჯაროდ მოვერიდები)პირიქით, მირეკავენ და მკითხულობენ, სად ვარ, როგორ ვმგზავრობ, თუ ტრანსპორტი არ არის, ტაქსით წამოდიო -მეუბნებიან და ტაქსის ფულსაც ისინი მიხდიან, გვიან ღამით არც კარს მიხურავენ და თბილ საძინებელსაც მახვედრებენ.

-მადლობელი ხართ ვისი?...

-მადლობელი ვარ ძალიან ბევრი ადამიანის, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი რაიონის ყოფილი გამგებლები, ბაჩუკი გონაშვილი, ვაჟა ქადაგიძე, დავით ლეკიშვილი, რომლებიც მაფასებდნენ, ყველანაირად ხელს მიწყობდნენ და მეუბნებოდნენ, თქვენნაირ ადამიანებს კი არ უნდა ვდევნიდეთ, პირიქით, უნდა მოვუფრთხილდეთო. მათი მხრიდან ასეთი დამოკიდებულება დიდი სტიმული იყო ჩემთვის.

-კარგად გახსენდებათ...

-ცხოვრებაში გაჭირვების გარდა ბევრი კარგი დღეც მინახავს, ლამაზი წლებიც მქონდა, 1996 წელს ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო საღამო ჩავატარე, მას შემდეგ უამრავი ღონისძიება, მხოლოდ გასული ორიოდ წელი რომ გავიხსენო, უამრავი ღონისძიება და დაჯილდოვება მოვაწყე, მათ შორის: თამილა ნატროშვილის ბენეფისი, გოდერძი ჩოხელის საღამო არხილოსკალოში, 1014 წლის 19 მარტს სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გვქონდა „მეტრის“ ნომინანტების დაჯილდოვების ცერემონიალი, 2015 წლის 25 მარტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, „საუკუნის ლეგენდის“ დაჯილდოვება, 29 აპრილს ხელოვნების სკოლაში ნანა მერაბიშვილის და სვეტლანა შალვაშვილის შეხვედრა, 11 ივნისს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში მწიგნობართა ასოციაციის წევრის თამილა ნადირაშვილის და მალვინა ისმაილოვას კონცერტი, 30 სექტემბერს ნანი საბანიძის პოეზიის საღამო- „მოკისკისე ალუბლები“, 5 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში ჩავატარე ახალგაზრდა პროფესიონალების და ღვაწლმოსილი ადამიანების დაჯილდოვება, შემდეგ იყო რობიზონ იაკობიშვილის ხსოვნის საღამო, პოეტ ირმა შიოლაშვილთან შეხვედრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, უნივერსიტეტის საიუბილეო საღამო და სხვა.

-როგორც ვიცი, არაერთი ჯილდოც გაქვთ მიღებული.

-ნიკოლოზ ჯანიაშვილის მადლობელი ვარ იმით, რომ 2015 წლის „დედოფლისწყაროობაზე“ დამასახელა „წარმატებულ დედოფლისწყაროელად“, სხვადასხვა წლებში გავხდი აგრეთვე „ღირსების ორდენის“ კავალერი და ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქე.

-რაზე ოცნებობთ?

-როცა თბილისიდან საოპერო მომღერლები ჩამოვიყვანე მუსიკალურ სკოლაში, მაშინ საღამოს სპონსორმა ისინი პირდაპირ რესტორანში წამაყვანინა, სტუმრებს კი თავგამოდებით სურდათ ჩემი სახლი ენახათ, მითხრეს, შენი სახლი გვაჩვენე, წაგვიყვანე, გვინდა ვნახოთო...ტყუილი ვთქვი, რემონტი და არეულობა მაქვს- მეთქი,მოვიმიზეზე.... როგორ მეჩვენებინა მათთვის პატარა სახლი, სადაც ძველისძველი ნივთების გარდა არაფერია. ვოცნებობ, რომ ვინმე სპონსორი გამომიჩნდეს და ეს პატარა სახლი ისე გამიკეთოს, რომ ის ისეთივე თავშეყრის ადგილი იყოს, როგორც მამაჩემის დროს იყრიდნენ თავს საზოგადო მოღვაწენი და მთელი ღამე საუბარში ატარებდნენ.

-რა გტკივათ?

-ისეთი ბავშვობა მქონდა, რომ ბევრი ინატრებდა. პირველი „საპოშკები“ მე მეცვა რაიონში, პირველად „პატეფონი“ ამ რაიონში მხოლოდ ჩემს სახლში იდგა, მაგრამ ახლა ერთი ღარიბი ქალი ვარ, რომელსაც ხშირად თბილისამდე ჩასასვლელი ფული არ აქვს, სიმდიდრეზე არც გული მწყდება და არც მინდა. ერთხელ მედეა ამირანაშვილმა მითხრა: შენ რომ მდიდარი იყო, განა ოპერაში ივლიდი და ჩვენისთანა ხალხს აჰყვებოდიო. მე კი ვფიქრობ, მდიდარიც რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად იგივე გზას გავივლიდი, რასაც დღემდე და კიდევ ერთი, ერთ-ერთი საღამოს ჩატარების შემდეგ, როდესაც ნომინანტების დაჯილდოება მოვაწყვე, ერთმა ადამიანმა მითხრა, ქმარი რომ ცოცხალი გყოლოდა, ამდენს როგორ გააკეთებდი და როგორ შეძლებდიო! მე კი ვუპასუხე,- ქმარი რომ ცოცხალი მყოლოდა, იმაზე გაცილებით მეტს შევძლებდი და ბევრად კარგ ღონისძიებებს ჩავატარებდი, ვიდრე ვაკეთებ, რადგან ვიცი, ხელს შემიწყობდა-მეთქი. ცხოვრებაში არაფერი არ წაგყვება თან, საკუთარი თავის და სხვების დაფასების გარდა.

დაჰყურებს ოპერისა და ბალეტის თეატრში მის სახელზე გამოწერილ მოსაწვევებს ქალბატონი ნანა და როგორც ზღაპარში მოგზაურ პერსონაჟს, ისეთი ბედნიერი სახე აქვს. ეს მთელი მისი ცხოვრებაა და ამას ვერავინ და ვერაფერი წაართმევს. დრო ნავა და წამოვა, მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები და დასახელებული ასამდე ნომინანტი კი დარჩება ისტორიას, როგორც ჩვენი ცხოვრების და კულტურის ნაწილი.

ლალი მეხრიშვილი

სოფიოს ბლოგი

ჯიბით სატარები წიგნი

“ქალაქი წყალზე”, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის დავწერე. ეს წიგნი ჩემთვის გამოლოცვასავითაა, მოგზაურობაა ჩემში და ჩემ გარეთ, ყველაზე დიდი სიმართლეა, რაც კი ოდესმე მითქვამს.

ეს წიგნი დავწერე ყველა გოგოსთვის, ვინც იბრძვის, ცხოვრობს და წინ მიიწევს, ვისაც ხშირად უფიქრია, რომ მეტი აღარ შეუძლია და, მიუხედავად ამისა, მხრებში გამართულს გაუგრძელებია გზა. ვისაც ბევრჯერ დაუძლევია შიში და არასოდეს უთქვამს უარი საკუთარ თავზე.

“ქალაქი წყალზე” დავწერე ყველა ბიჭისთვის, ვისაც ჰყოფნის სიყვარული, ამბიცია და სიამაყე, გვერდით ძლიერი გოგო ჰყავდეს, თუმცა, ალბათ, იმ ბიჭებისთვისაც დავწერე, ვისაც სწორი არჩევანის გასაკეთებლად ბიძგი სჭირდებათ.

ეს წიგნი დავწერე ყველასთვის, ვისაც ყოველდღიური ადამიანური სასაწაულების სჯერა.”



ეს სალომე ბენიძეა, თანამედროვე ქართველი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი. მოდით, როგორც წესია, მივყვეთ მის ბიოგრაფიას:

დაიბადა 1986 წლის 12 ნოემბერს ქუთაისში. 2003-2007 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ტელე-რადიო ჟურნალისტიკის მიმართულებით. სწავლა განაგრძო ვილნიუსის უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით და თესალონიკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში საზოგადოებასთან ურთიერთობის განხრით.

გამომცემლობა “ინტელექტმა” გამოსცა მისი ორი პოეტური კრებული: “მოხსენებითი ბარათი” (2011), “ამბავი უძინართა” (2013).

2012 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია “საბა” წლის საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში (პოეტური კრებულისთვის “მოხსენებითი ბარათი”).

2015 წლის შემოდგომაზე “ქალაქი წყალზე”(გამომცემლობა “წიგნები ბათუმში”) დასახელდა წლის საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებად და გადაეცა ზურაბ ჟვანიას სახელობის წინანდლის პრემია.

არ მოგატყუებთ და ვიტყვი, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც ამ ავტორის არსებობის შესახებ ვიცი. როგორც კი მისი ერთ-ერთი ლექსი წავიკითხე, მაშინვე დავინტერესდი, უფრო ახლოს გამეცნო მისი შემოქმედება. თანამედროვეობაში ეს ძალიან მარტივია: შედიხარ Faceboook-ზე, საძიებო ველში წერ Salome Benidze-ს და თუ გაგიმართლა, აუცილებლად გადააწყდები შენთვის საინტერესო ადამიანს. ასეც მოხდა. ამის შემდეგ შევიძინე მისი პოეზია და დავინტერესდი მისი საქმიანობით.

ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ რომანს წერდა და მალე გამოქვეყნებასაც გეგმავდა. იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა წიგნის გამოსვლას ინტერნეტ-სივრცეში, რომ სიმართლე გითხრათ, მეტწილად ამის გამო შევედი “ბიბლუსში” და რომ იტყვიან, ჩემი ბოლო კაპიკებით ვიყიდე “ქალაქი წყალზე”. მახსოვს, მეორე დღეს გამოცდა მქონდა ფილოსოფიაში. თან ფინალური. მე კი, ბედნიერმა, გადავშალე სალომეს წიგნი, ჩემს თავს ვუთხარი, ერთ გვერდს წავიკითხავ, გავიგებ როგორია და დავხურავ-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ მოხდა. მოკლედ, ვიღას ახსოვდა ფილოსოფია და ღრმად ჩამითრია. ჩამითრია და თავი წამაკითხა რამდენიმე საათში.

“ქალაქი წყალზე” შედგება პატარ-პატარა მოთხრობებისგან, რომლებიც ერთმანეთთან მისტიური ძაფებითაა დაკავშირებული. როდესაც ეს საერთო ხაზი აღმოვაჩინე, გავოცდი და ჩემი გაოცება წიგნის დამთავრებამდე არ გამქრალა.

სალომე ბენიძის წიგნის გმირები ქალები არიან. ძლიერი, დამოუკიდებელი, შეყვარებული ქალები. თითოეულ მათგანს რაღაც განსაკუთრებული უნარი გააჩნია, ზებუნებრივ ძალებთან ურთიერთობა მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათ აქვთ საკუთარი სამყარო, რომელიც თავისებური ბედნიერებითა და ტკივილებითაა სავსე. წიგნის გმირები თანაცხოვრობენ ბუნებასა და სტიქიებთან. მათთვის ძალის მიმცემი წყალია, რომელიც ყოველი მხრიდან აკრავს ქალაქს.

წიგნი გაფორმებულია თათია ნადარეიშვილის შესანიშნავი ილუსტრაციებით, რომელიც მას საოცარ სრულყოფილებას სძენს.

“ქალაქი წყალზე” მოგზაურობის ისტორიაა, მოგზაურობისა, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავთან მიჰყავს.

“ვაღიარებ, რომ წიგნის შექმნისას ყველაზე ჭარბად ბალტიისპირული, განსაკუთრებით კი ლიტვური ელემენტები გამოვიყენე. ამით ერთგვარი მადლიერება გამოვხატე იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს. ასევე, მეყო თავხედობა, რამდენიმე გმირისთვის ჩემი მეგობრების სახელები დამერქმია, რაც, გარკვეულწილად, მათი პიროვნული თვისებების განმსაზღვრელი გახდა,”- ამბობს სალომე.

მინდა, გაგიზიაროთ ის შთაბეჭდილებები, რომლებიც წიგნის წაკითხვის შემდეგ ბევრმა ადამიანმა საჯაროდ გამოაქვეყნა:

“ზოგჯერ მეგონა, რომ მე ვიყავი ავტორი, ჩემი იყო ეს აზრები, ეს განცდები, ეს ემოციები. თუკი ერთ ისტორიაში მაინც იპოვი შენს თავს, მერე ხვდები, რომ ერთი ისტორია, ცალკე აღებული, არ არსებობს. სადღაც იქვეა სხვა ამბავიც, მერე კიდევ სხვა, კიდევ სხვა და ასე გრძელდება ციკლის შეკვრამდე. მერე ხვდები, რომ ლიდიაც შენ ხარ, ილარიაც, ელენაც, კატარინაც, მარიაც, ანა-ულრიკეც და ეს სიზმრებიც შენია ყველა! და როდესაც გაბედავ და შეცურავ ამ წიგნში, როდესაც გადაიტან ამ ამბებს, როდესაც მოგზაურობისას კვანძს შეკრავ, როდესაც ბოლოს ყველაფერი ნათელი ხდება, მიხვდები, რომ ზღვის ქალღმერთი შენ ხარ.”

ერთ-ერთი მკითხველი კი ავტორს ურჩევს: “შენს ადგილას წერის მეტს არაფერს გავაკეთებდი.”

ასეა თუ ისე, ამ წიგნში მართლა არის რაღაც, რაც მას განსაკუთრებულობას ანიჭებს- გამორჩეულია თავისი არაორდინალური ჟანრითა და ორიგინალური სტრუქტურით. მნიშვნელოვანია ერთი დეტალიც, რომელსაც მე, პირადად, ყველაზე მეტად ვაფასებ- გულწრფელობა, ის გულწრფელობა, რომელსაც ავტორი ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაგრძნობინებს.

“ერთხელ, ცხრა წლის რომ ვიყავი, მამა ზღვაში გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ჩემს თავს ვუთხარი, რომ მზესთან წავიდა. ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ის, ვინც სიკეთეს აკეთებს და, მიუხედავად ტკივილებისა, არ ბოროტდება, მზეს მიჰყავს თავისთან. მეუბნებოდა, რომ სინამდვილეში მზე ასეთი ადამიანების გულებისგან შემდგარი დიდი სინათლეა.”

შეიძლება ამ წიგნს ფემინისტური პროზაც ვუწოდოთ, თუკი არსებობს ასეთი ჟანრი. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ იგი ყველასთვისაა. ძლიერი სქესის წარმომადგელებიც აუცილებლად იპოვიან მასში რაღაც მნიშვნელოვანს, რადგან, ალბათ, მათთვისაც არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს ჩვენი სამყარო, გოგოების წყლით სავსე სამყარო..

“თუ გსურს, დაიჯერო, რომ ლამაზი ხარ, საკუთარი თავი იმის თვალებში უნდა ეძებო, ვისაც გინდა, რომ უყვარდე. იოჰანესის თვალებში მარია ისეთი ჩანდა, რომელზეც მხოლოდ უოცნებია, რომ ყოფილიყო.”

გირჩევთ ყველას, ყველას, ყველას- წაიკითხეთ “ქალაქი წყალზე”. წაიკითხეთ თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგოთ, რა იწერება თანამედროვე ქართულ პროზაში და რას აჯილდოებენ სხვადასხვა ლიტერატურული პრიზით. არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა წაკითხვის შემდეგ, მაგრამ მე მას “ჯიბით სატარები წიგნი” ვუწოდე.

“და ბოლოს, უდიდესი მადლობა ორ ქალაქს- ბათუმსა და ვილნიუსს- სიცოცხლისათვის, რომელსაც ყოველი შეხვედრისას მიბრუნებენ. სიყვარულისთვის, რომელსაც მათგან ვიღებ და წყლისთვის, რომელიც ჩემს წიგნშია.”

მე ვარ ქალი და, მაშასადამე, ვარ დისკრიმინირებული

თამარ ბაგრატია- გარემოს ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე:

მე დღეს საჯარო მოხელე ვარ და მამაკაცების მიერ დომინირებულ “ბიუროკრატიის წვენში” ვიხარშები. ჩინოვნიკი კონკრეტული კანონებით დაწესებულ პოზიტიურ წესრიგს უნდა აიგივებდეს წესრიგთან. ეს წესრიგიც კი მუდმივად ქაოსური და “მასკულინურია”.

მანჰაიმის შენიშვნა - ჩინოვნიკი ვერ ხედავს, რომ ყოველი მიღებული კანონის უკან განსაზღვრული მსოფლმხედველობით, ნებითა და ინტერესებით დაკავშირებული სოციალური ძალები დგანან, ზოგჯერ მცდარად მეჩვენება. ამ კანონების მიღმა მუდმივად ვეძებ ქალებს და ვერასოდეს ვხედავ მათ - როგორც სოციალურ ძალას.

დღეს იმ მინისტრთან ერთად მიწევს მუშაობა, რომელთანაც, მისი პარლამენტის წევრობისას, მე - როგორც ქალთა უფლებების დამცველს, მუდმივი და შეუქცევადი აზრთა სხვადასხვაობა მქონდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის გზებზე. ამ თემაზე ახლა მორატორიუმი გვაქვს, გენდერული კვოტირება მისთვის კვლავ მიუღებელია, მე კი პოლიტიკურ პროცესში სოციალური კონსესუსისთვის კვლავ გარდაუვალ აუცილებლობად მიმაჩნია. თუმცა, აზრთა ეს სხვადასხვაობა ხელს არ გვიშლის ბევრ სხვა პრინციპზე ვთანხმდებოდეთ.

ქალებს რომ დაწინაურებისათვის, ასევე მიღწეული, შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის მამაკაცებზე უფრო მეტად გვიწევს მუშაობა, სადაოდ არ მიმაჩნია. ყველა ის მეტნაკლებად წარმატებული ქალი, რომელიც დააფიქსირებს, რომ დღევანდელ სტერეოტიპულ საზოგადოებაში დისკრიმინირებულად არ გრძნობს თავს, ან გულახდილი არ არის, ან - სხვა ქალების მარგინალიზაციას ცდილობს.

20 თებერვალს ფონიჭალაში მცხოვრები 17 წლის გოგონა გაიტაცეს, დეკემბერში ასევე მარნეულიდან გატაცებულ 17 წლის გოგოს ეძებდა ოჯახი, ქვეყანაში იძულებითი ქორწინება და ფემიციდი კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

კვამე ენტონი აპიას ნაშრომში - “ღირსების კოდექსი (როგორ ხდება ზნეობრივი რევოლუციები)” - ერთი თავი ომებს ქალთა წინააღმდეგ ეხება. ამ თავში საუბარია იტალიური სისხლის სამართლის კოდექსის მაშინ მოქმედ 544-ე მუხლზე, რომელიც აღიარებს ქორწინებას, რომელიც გაუპატიურებით მიყენებულ ზიანს “ანაზღაურებს”.იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია.

1965 წელს 17 წლის ფრანკა ვიოლა ვინმე ფილიპო მელოდიამ გააუპატიურა.მან სათანადოდ ვერ შეაფასა ფრანკა, რომელიც მას ცოლად არ გაჰყვა და საქმეს სასამართლოს გზით მსვლელობა მისცა, (მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, მან ხომ “ღირსების ნორმების იგნონირება მოახდინა”, მოძალადე დააპატიმრეს, ფრანკა 3 წლის მერე თავის შეყვარებულს გაჰყვა ცოლად, 1981 წელს პუნქტი 544 გაუქმდა, თუმცა მანამდე ამ ნორმამ დააკნინა, ვერ დაიცვა და იძულებითი ქორწინების მსხვერპლი გახადა უამრავი ქალი, ხოლო მოძალადეები კი - დაუსჯელები რჩებოდნენ.ეს ისტორიაც ნათელი მაგალითია იმისა, რომ უსამართლო ნორმების იგნორირება აუცილებელია, თუმცა ამისათვის ინდივიდებს ბრძოლა და საზოგადოებრივ აზრთან კონფლიქტი უწევთ.

“გახსოვს ჩემი ძველი გამონათქვამი, “მონობა არ გაუუქმებიათ, უბრალოდ ყველა კანის ფერს მოარგეს.” ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც სამსახურისთვის იბრძვიან, არა იმიტომ რომ მათ ეს სამსახური მოსწონთ, არამედ იმიტომ, რომ უარესი ალტერნატივის ეშინიათ, სულ უფრო იკარგება ადამიანობა.” - წერდა ჩარლზ ბუკოვსკი ჯონ მარტინს.

არ მინდა, დღეს დისკრიმინაცია მსგავს მონობას დაემსგავსოს, ის ყველა სქესს მოარგონ. ხოლო ქალებს საკუთარი სტატუსი მხოლოდ იმიტომ აკმაყოფილებდეთ, რომ უარესი ალტერნატივის ეშინოდეთ.

8 მარტს გილოცავთ. მხოლოდ ქალთა სოლიდარობაა ქალთა სტატუსის დაცვის და გაძლიერების წინაპირობა, ხოლო მანამდე სანამ, მე როგორ ქალი, თანამდებობის პირი, თეორეტიკოსთა მიერ შემოთავაზებულ ბიუროკრატიზმის ძირითად თვისებებს - ხალხისგან გაუცხოებას, სოციალურ ჩაკეტილობას, მოსახლეობის ინტერესებისადმი კასტურ გულგრილობას, - გავისიგრძეგანებ, ვცდილობ, ეს სტერეოტიპებიც ავირეკლო.

ჩვენ სამართალი უნდა მოვითხოვოთ იმ საზოგადოებაში, რომელიც ქალებს უსამართლო და უთანასწორო გარემოს სთავაზობს. ქალთა დისკრიმინაციას და ძალადობას მხოლოდ აღშფოთებით კი არ უნდა ვუპასუხოთ, არამედ საზოგადოების შეცვლის მყარი განზრახვით და ღირსების დაცვით, ამ განზრახვისათვის კი განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია.

“თქვენ ხართ პატარა ქალი, რომელმაც დაწერა წიგნი და ეს დიდი ომი დაიწყო”- უთხრა ლინკოლმა ჰარიეტ ბიჩერ სთოუს, “ბიძია თომას ქოხის” ავტორს, სამოქალაქო ომის შესახებ.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა საქართველოში

პროექტის –"აწარმოე საქართველოში" ირგვლივ მოსახლეობის ინტერესი სულ უფრო მზარდია. გაზეთი "შირაქი" გთავაზობთ ინტერვიუს თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრის დირექტორთან მალხაზ შუბითიძესთან:

-რა მდგომარეობაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით? მესმის, რომ ეს ძალიან მძიმე და მტკივნეული საკითხია...

-კახეთში, შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში სულ შეიქმნა 928 ახალი სამუშაო ადგილი. აქედან კახეთში 357, შიდა ქართლში 360 და მცხეთა-მთიანეთში 211 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

-დაფინანსების თანხასთან ერთად კიდევ რაიმე სარგებელს თუ იღებენ ბენეფიციარები?

-დაფინანსების თანხასთან ერთად ჩვენი ბენეფიციარები იღებენ დამატებით სარგებელს. რომელიც გამოიხატება ტრენინგების მეშვეობით მათთვის ახალი ცოდნის გადაცემაში, პროფესიონალების მიერ გაწეულ ბიზნეს კონსალტინგში და ინდივიდუალურ კონსულტაციებში. დაფინანსებასთან ერთად ასეთი თანმდევი ინტელექტუალური მომსახურება მაღალ სინერგიულ ეფექტს განაპირობებს.

-ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით შეზღუდვები თუ არსებობს?

-შეზღუდვა ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით არ არსებობს. პროგრამის მონაწილეები თავისუფლები არიან თავიანთ არჩევანში.



მთავარია, მათი იდეა იყოს დასაბუთებული, გააჩნდეს განვითარების პერსპექტივა და ამ იდეის განხორციელებისათვის არსებობდეს შესაბამისი გარემო პირობები და რესურსები.

- რა შედეგებს უნდა ველოდეთ მიმდინარე წლის განმავლობაში?

- გასული წლის მსგავსად 2016 წლისათვის დაგეგმილი გვაქვს 395 ბენეფიციარის დაფინანსება. კახეთში დაფინანსდება არანაკლებ 165 ბენეფიციარი, შედა ქართლში-145 და მცხეთა-მთიანეთში 85 ბენეფიციარი. ადრე მიღწეული შედეგების გავითვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაფინანსების მიღების შანსი დაგეგმილზე მეტ ბენეფიციარს ექნება.

-დაინტერესებულმა პირებმა თქვენამდე ბიზნეს იდეის განაცხადები როგორ უნდა მოიტანონ?

- პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირებმა განაცხადები უნდა შემოიტანონ მხოლოდ ელექტრონული ფორმით ინტერნეტის მეშვეობით. ამისათვის საჭიროა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე qartuli.ge შესვლა, შესაბამისი აპლიკაციის შევსება და გამოგზავნა. მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება ჩვენ წვდომა ბიზნეს იდეაზე და შევძლებთ მის შეფასებას.

-როგორ ხდება, თქვენს მიერ, მიღებული ბიზნეს იდეების შეფასება?

-თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრში შემოსული ბიზნეს იდეების შეფასება ხდება მეწარმეობის სააგენტოს მიერ დადგენილი, ჩვენთან შეთანხმებული და შესაბამის ხელშეკრულებაში ასახული კრიტერიუმების შესაბამისად. ჩვენთან იქმნება კომპეტენტური კომისია, რომელიც ამ კრიტერიუმების შესაბამისად ადგენს შეფასების ქულას. სწორედ დაგროვილი ქულების მიხედვით ხდება გამარჯვებული ბიზნეს იდეის გამოვლენა.

-აგრძელებთ მოსახლეობასთან შეხვედრებს თუ ეს ეტაპი უკვე დასრულებულია?

- მოგეხსენებათ, განაცხადების მიღების ვადა იწურება 31 მარტს. შესაბამისად. მოსახლეობასთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან შეხვედრები გრძელდება და ის დასრულდება მარტის ბოლოს. ჩვენც ამ თარიღის შესაბამისად გვაქვს შედგენილი ჩვენი საკომუნიკაციო გრაფიკი. თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრის თანამშრომლები მოსახლეობასთან შეხვედრებს და პროგრამის პრეზენტაციებს გამართავენ კახეთის, შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის ყველა მუნიციპალიტეტსა და სასოფლო თემში. წელს გაცილებით ძლიერ კონკურენციას და მეტ განაცხადებს ველოდებით ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა წინა ეტაპზე.

-სად შეიძლება კონსულტაციების მიღება ბიზნეს იდეის ინტერნეტში ატვირთვასთან დაკავშირებით?

-კონსულტაციების მიღება ბიზნეს იდეის ინტერნეტში ატვირთვასთან დაკავშირებით შესაძლებელია ჩვენს ნებისმიერ ოფისში, როგორც თბილისში ისე რეგიონებში. ასევე ცენტრალიზებული სატელეფონო მომსახურების ნომერზე (032) 205-19-92. ჩვენი ოფისების მისამართებია:

თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, 10 ოფისი 38

თელავი, ი. ჭავჭავაძის ქუჩა 87

სიღნაღი, დ. აღმაშენებლის მოედანი 2

გორი, სამეფო ქუჩა 27

დუშეთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა 44

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

რა ელით ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად მცხოვრებ ქართველებს უვიზო რეჟიმის პირობებში

9 მარტს ევროკომისიამ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. პრესრელიზის თანახმად, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივას დაამტკიცებენ, ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით 180 დღის განმავლობაში მაქსიმალური, 90 დღის ვადით ისარგებლებენ.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ ამოქმედდება თუ არა რაიმე განსაკუთრებული წესი საქართველოდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არალეგალურად წასული ქართველებისთვის. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განგვიმარტეს, არალეგალურად წასული ქართველებისთვის განსაკუთრებული წესი არ ამოქმედდება და ასეთი პირების არალეგალურად ყოფნის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი გაძევებულ იქნებიან ქვეყნიდან და აეკრძალებათ შენგენის ტერიტორიაზე შესვლა უვიზო რეჟიმის მიუხედავად.

"უვიზო რეჟიმით სარგებლობას შეძლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი გავრცელდება მხოლოდ მოკლევადიან ვიზიტებზე, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეს უფლება ექნება დაჰყოს ევროკავშირის/შენგენის წევრი შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში არაუმეტეს 90 დღისა. 90-დღიან პერიოდში შესაძლებელია მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 90 დღეს უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი არ შეეხება გრძელვადიან ვიზიტებს, მაგალითად, უმაღლესი განათლების მიღების ან დასაქმების მიზნით.

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით გამგზავრების სურვილის შემთხვევაში, ისევ იმოქმედებს სავიზო რეჟიმი და საქართველოს მოქალაქეებმა ვიზის მისაღებად უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს. ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში ყოფნის 90 დღის (180 დღის განმავლობაში) ვადის გასვლამდე საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს შენგენის ტერიტორია. ამ ქვეყნებში 90 დღე გადაბმულად ყოფნის შემთხვევაში ხელახლა გამგზავრება შესაძლებელი იქნება შენგენის ზონის დატოვებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ.

90-დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად. ასეთი პირი გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უკვე იმყოფებიან არალეგალურად ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე, უვიზო მიმოსვლის რეჟიმით ვერ ისარგებლებენ და მათზე არავითარი განსაკუთრებული წესი არ გავრცელდება. ასეთი პირების არალეგალურად ყოფნის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი გაძევებულ იქნებიან ქვეყნიდან და აეკრძალებათ შენგენის ტერიტორიაზე შესვლა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მიუხედავად",
- განაცხადეს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ამასთან, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უცხოეთში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ურჩევს, თუ შესაძლებელია თავიანთი ვითარების დაკანონება მოახდინონ, თუ არა, მაშინ უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ კანონიერად შევიდნენ ევროკავშირის ქვეყნებში. "ყველას შეგხვედრიათ ალბათ ჩვენი მოქალაქე, რომელიც არალეგალურად ცხოვრობს ევროკავშირის ქვეყანაში. ყოფილა ისეთი ტრაგიკული სიტუაცია, როდესაც იმის შიშით, რომ თუ საქართველოში დაბრუნდება, უკან ველარ შევა, საკუთარი ოჯახის წევრის გასვენებაშიც არ ჩამოსულა. პირველი ნაბიჯი იქნებოდა ის, რომ ალბათ იმ ქვეყანაში, სადაც ისინი არიან, სასწრაფოდ გადადგან ნაბიჯები და თავიანთი ვითარების დაკანონება მოახდინონ თუ ეს შესაძლებელია. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შეეცადონ, რომ უკვე როდესაც დადგება უვიზოდ მიმოსვლის დღე, ახალ პირობებში კანონიერად შევიდნენ ევროკავშირის ქვეყანაში. თუმცა პრობლემა ის არის, რომ უვიზოდ მიმოსვლა არ ნიშნავს ევროკავშირის ქვეყანაში ცხოვრებას", - განაცხადა წულუკიანმა.

„წითური გენერალი“ პანკისიდან კვლავ ცოცხალია?!

მსოფლიო მედია კიდევ ერთხელ წერს “ისლამური სახელმწიფოს” ერთ-ერთი ლიდერის, წარმოშობით პანკისელი ტერორისტის, აბუ ომარ ალ-შიშანი, იგივე თარხან ბათირაშვილის სიკვდილის თაობაზე.

“როიტერის” ინფორმაციით, აბუ ომარ ალ-შიშანის ლიკვიდაციისთვის, რომელსაც ISIS-ის ერთ-ერთ ყველაზე “ნიჭიერი მეთაურის” რეპუტაცია ჰქონდა, საჰაერო ოპერაცია ჩატარდა. მათივე ცნობით, ბათირაშვილის ლიკვიდაციას პენტაგონიც ადასტურებს.

“მისი საბრძოლო სტრატეგიები ჯერ კიდევ აუხსნელია პენტაგონისთვის, რომლის წარმომადგენლის პიტერ კუკის განცხადებით: “ომარი იყო საქართველოდან, რომლის საბრძოლო სტრატეგიამ, მისცა მას საშუალება “ისლამურის სახელმწიფოს” ერთ-ერთი წამყვანი ლიდერი ყოფილიყო”. კუკის განცხადებით, შიშანის სიკვდილი, რომელიც მათი ცნობით, 8 მარტს მოხდა, მნიშვნელოვნად შეასუსტებს სირიაში ტერორისტული განდფორმირებების ძალას, “ეს იქნება მათთვის უდიდესი დარტყმა და დანაკლისი”, - განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა”. - ვკითხულობთ “როიტერის” ინფორმაციაში.

როგორც ცნობილია, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თარხან ბათირაშვილი ტერორისტების სიაში ჰყავდა შეყვანილი. გასულ წელს კი, მის შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ, 5 მილიონი დოლარიც დააწესეს.

პანკისელი თარხან ბათირაშვილის, იმავე ომარ ალ შიშანის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ადრეც არაერთხელ გავრცელებულა. 2013 წელს ქურთმა მეამბოხეებმა მსოფლიოს ამცნეს, “წითური შაითანი” (ქურთები ასე უწოდებენ) ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლესო, თუმცა მტკიცებულებად არაფერი ჰქონდათ.

2014 წლის მაისში კვლავ ითქვა, ომარ ალ შიშანი დაიღუპაო (მაშინ ავიაიერიშებს ალ-ბაღდადის ჩეჩენი სიძე და მისი მცველები ემსხვერპლნენ), მაგრამ ივნისში, როდესაც აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ ისლამური ხალიფატის შექმნის თაობაზე განცხადება გააკეთა, თარხან ბათირაშვილი ახალშექმნილი სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა სირიის ტერიტორიაზე და რამდენიმე წარმატებული ბრძოლის შემდეგ დევიზით, “მოვკლათ ალაჰის სახელით”, ჯერ ირანს და შემდეგ რუსეთს დაემუქრა, ხოლო რამზან კადიროვის მოსაკლავად ჯილდოდ 5 მილიონი დოლარიც დააწესა. არც კადიროვის პასუხმა დააგვიანა - ომარ ალ შიშანს შეუთვალა, - რა ადგილზეც ეგ განცხადება გააკეთე, იქ მოგკლავო. კადიროვ-ბათირაშვილის უთანხმოება მხოლოდ იდეოლოგიური ხასიათისა

არ ყოფილა. ჩეჩნეთის ემიგრაციის სამსახურის უფროსის, ასუ დურდუკაევის ქალიშვილი სედა ცოლად გაჰყვა სირიაში მებრძოლ წარმოშობით ქისტს, ჰამზათ ბორჩაშვილს კადიროვმა მამას ურჩი ქალიშვილის შინ დაბრუნება მოსთხოვა. სედამ (სირიაში - აიშა) შინ დაბრუნებაზე უარი თქვა. კადიროვმა სიძის დედას პანკისის ხეობაში ხალხი მიუგზავნა - თუ შვილის სიცოცხლე გინდა, გოგო უნდა დააბრუნო. გამწარებულმა ქალმა სირიაში ჩააკითხა შვილს. რძალი გაჯიუტდა - ჩემი ადგილი აქ არის, აქ ვაპირებ ცხოვრებასო. კადიროვმა დურდუკაევი თანამდებობიდან გადააყენა, ორი თვის შემდეგ სედას სირიაში ქმარიც მოუკლეს (ის ბათირაშვილის თარჯიმანი იყო).

დედამთილმა კვლავ შესთავაზა რძალს დაბრუნება. უარი მიიღო. სედა ომარ ალ შიშანის მიერ აშენებულ თავშესაფარში გადავიდა, სადაც შაჰიდების”ოჯახები ცხოვრობდნენ, სამი თვის შემდეგ კი ცოლად ომარ ალ შიშანმა მოიყვანა (წესის მიხედვით, შაჰიდის ქვრივის ცოლად მოყვანა დიდ კეთილშობილებად ითვლება).

2014 წლის 9 სექტემბერს აშშ-ის ავიაიერიშს ქალაქ მოსულზე “ისლამური სახელმწიფოს” რამდენიმე ლიდერი შეეწირა, მაშინ არაფერი თქმულა ომარ ალ შიშანზე, რომელიც იმ დროს მოსულში უნდა ყოფილიყო. პანკისში ამბობდნენ, თარხანი კარგად არისო.

მოგვიანებით თვითონ რამზან კადიროვმა გაავრცელა ინფორმაცია თარხან ბათირაშვილის სიკვდილის შესახებ. “ისლამის მტერი თარხან ბათირაშვილი, რომელიც თავს ომარ ალ შიშანს უწოდებდა, მკვდარია. ეს ელოდება ყველას, ვინც რუსეთსა და ჩეჩენ ხალხს დაემუქრება, ვინც მუსლიმანების სისხლს დალვრის... ალაჰი მოწყალეა” - წერდა ჩეჩნეთის ლიდერი “ინსტაბრამაზე”, თუმცა მალევე გაირკვა, რომ “წითური შაითანი” ისევ ცოცხალი იყო.

თარხან ბათირაშვილი პანკისის ხეობიდან არის.მისი ოჯახის წევრები დღესაც იქ, სოფელ ბირკიანში ცხოვრობენ. მამა ქრისტიანი ჰყავს... თარხანი ისევე, როგორც ხეობის ბევრი სხვა ახალგაზრდა, დუხჭირეში გაიზარდა... მოგვიანებით გადაწყვიტა სამხედრო საქმის შესწავლა და ამისთვის ქართულ არმიაშიც მსახურობდა. მონაწილეობა აქვს მიღებული აგვისტოს ომშიც... როგორც სამხედრო წრეებში აცხადებენ, შეიძლება წარმატებული კარიერა ჰქონოდა, რომ ერთ დღეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო (როგორც ამბობენ, ტუბერკულოზი აღმოაჩნდა) ჯარიდან არ დაეთხოვათ. მეტიც, 2010 წელს ის დააკავეს იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის. ციხეში ორი წელი გაატარა, გათავისუფლების შემდეგ კარგა ხანს უმუშევრად იყო, შემდეგ კი ე.წ. “კავკასიის ემირატის” მებრძოლებს შეუერთდა და დოკუ უმაროვის მოწოდებით აღმოჩნდა სირიაში, ამბოხებულების მხარეს, თარხან ბათირაშვილის კი არა, უკვე აბუ ომარ ალ ჩეჩენის სახელით (არაბულად შიშანი).

მონატრება

ირმა ჩიტაური

40 დღე გადის იმ ტკივილიანი დღიდან, რაც ამქვეყნიური ცხოვრება დატოვე, ჩვენო ირმა. სულ რაღაც 38 წლის მანძილზე, ცხოვრების ბევრი უსამართლობა საკუთარ თავზე გადაიტანე-შენი სილამაზე შენივე მტერი აღმოჩნდა... ძალადობრივი გზით შექმნილი ოჯახი მალევე დაინგრა და ერთადერთი შვილით ხელში დარჩი. გოგონას ბევრი რამ სჭირდებოდა, ამიტომ ეკონომიური პრობლემების მოსაგვარებლად საბერძნეთში წახვედი... რამდენიმე წლის შემდეგ შენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა-იქ მოსიყვარულე მამაკაცს შეხვდი, რომელმაც შენი გარეგნობაც დაფასა და პიროვნული თვისებებიც, მაგრამ, სამწუხაროდ შენი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა- უკურნებელმა სენმა მოგისწრაფა სიცოცხლე. დაამბლა შენი ანა და შვილიშვილი ლუკა, საშინლად ატკინა გული მშობლებს, დედმამიშვილებს. შენმა ბერძენმა მეუღლემ ვერ გაგიმეტა განშორებისთვის და სამუდამო განსასვენებელი საბერძნეთში დაიდე.

15 მარტს 40 ტკივილიანი დღე გადის შენი გარდაცვალებიდან, ირმა. დრო ვერ აამებს საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს, სულ უფრო მძაფრი ხდება მონატრების გრძნობა...

ამ დღეს დავანთებთ სანთელს და შენს სულს შევავედრებთ უფალს, რათა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

მშობლები: გურამი და ციური,

ძმა გია, **და** ფიქრია ჩიტაურები ოჯახებით.

მაია ბოსტაშვილი

მაგიდაზე, შენი სურათების წინ დანთებულ სანთლების ციმციმს, შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ცრემლიანი თვალებით გეუბნები ამას შენი უბედური დედა.

გილოცავ დაბადების 43 წლისთავს იმქვეყნად, ზეცაში, შვილო. მოდის ჩემთვის 22 მარტი ცრემლით და მწუხარებით სავსე.

უიღბლოდ წავიდა შენი ცხოვრება. დაუნდობელი ყოფილა ბედისწერა. მძიმე სენით შეპყრობილმა დატოვე ქმარ-შვილი, შვილიშვილი, რძალი. შენ უკვე მეორე შვილიშვილის ბებია გახდი, შენი მოსახელე პატარა „მაიკო“ დაიბადა.

ჩემო შვილო, სიცოცხლის ბედი არ გქონია თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა, შენ ხომ სიგიჟემდე გიყვარდა შენი ძმა და რძალი, ძმიშვილები, დისშვილები, ყველა მოდის შენს საფლავთან, გინთებენ უამრავ სანთელს, გილოცავენ დაბადების დღეს. ღმერთს შესთხოვენ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, უმანკო სული. ღმერთო, სამოთხის ადგილი დაუთმე ჩემს მაიას, განისვენოს იქ სადაც, მართალნი განისვენებენ.

„დარდით შემოვა ოხ ეს მარტი,
საფლავს დაბერენ ცივი ქარები
მოვალთ ყველა, შენს საფლავთან
დაგვხვდება მხოლოდ ცივი თოვლები.

შენგან მონატრებული დედა ლილი, **შვილები**, ვანიკო, ნიკა, **შვილიშვილი** მარი, **ძმა** სოსო, **და** თამილა - პატარა მაია ბოსტოღანაშვილები.

ივანე კეზუას პერსონალური გამოფენა

მიუხედავად მძიმე ყოველდღიურობისა, ქართველ მოღვაწეთა შორის დღესაც საკმაოდ არიან ახალგაზრდა ხელოვანები, რომელთა შემოქმედება აღსავსეა ხალასი ნიჭით

თანამედროვე ქართველ შემოქმედთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელია მხატვარი ივანე კეზუა. მისი ნამუშევრები ნათელი, ალალი და გულითადია, სწორედ ისეთი, როგორც მისი ოჯახის გარემო. იგი ჩვენი თანამემამულის ცნობილი პოეტის მაყვალა გონაშვილის და მერაბ კეზუას შვილია.

ამ დღეებში მწერალთა სახლში გაიმართა ივანე კეზუას პერსონალური გამოფენა, რომელიც გახსნა სტუდენტმა, ასევე ჩვენმა თანამემამულემ უმშვენიერესმა ნატალი გონაშვილმა. იგი უმაღლეს განათლებას ეუფლება ამერიკაში, კერძოდ ნიუ-იორკში. მან მხატვრის მინი დოსიე გააცნო დამსწრე საზოგადოებას, რომელთა უმრავლესობას ახალგაზრდები, გამოჩენილი მხატვრები, მწერლები, ოჯახის წევრები, ახლობლები, ნათესავები და მეგობრები წარმოადგენდნენ.

ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედება მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა; დედაქალაქის ხედები, პეიზაჟები, პორტრეტები, მათ შორის მხატვარ გივი თოიძის მსახიობ გივი ბერიკაშვილის, მთარგმნელის გივი შახნაზარის და სხვა ფერწერული ტილოები დამთვალიერებელზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ივანე კეზუას შემოქმედებაზე ისაუბრეს და გაიხსენეს მისი ბავშვობის წლები მხატვარმა გივი თოიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარემ რევაზ მიშველაძემ, პოეტმა მზია ხეთაგურმა, საბურთალოს მწერალთა და საოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორმა ბადრი ქუთათელაძემ, ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თავჯდომარის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ და სხვებმა. მათ მხატვარს მიულოცეს მორიგი პერსონალური გამოფენის გახსნა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს ხელოვნების დიდ გზაზე.

ახალგაზრდა პოეტებმა ოთო ფალიანმა და ნიკა ქვრივიშვილმა საკუთარი ლექსები მიუძღვნეს მხატვარს. გამოფენას დიდ ხიბლს მატებდა მუსიკალური ფონი-პაატა დეისაძის მიერ ცნობილი კომპოზიტორების საფორტეპიანო ნაწარმოებების შესრულებით.

მარიკა პოპიაშვილი

„გაზაფხული შემოსულა, ლენ!“

დედოფლისწყაროს რაიონის, სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიაზე მდებარე ხალხთა მეგობრობის მუზეუმში 5 მარტს გაიხსნა გამოფენა-გაყიდვა სათაურით: „გაზაფხული შემოსულა, ლენ!“ გამოფენის გახსნას დაესწრნენ: საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის პროექტის: „ქალთა გაძლერება ცვლილებებისთვის“ წარმომადგენლები. გამოფენა გასტანს ორი კვირის განმავლობაში, მსურველებს შეგიძლიათ მობრძანდეთ 11 საათიდან 16 საათამდე, ყოველდღე, კვირა-ორშაბათის გარდა. გამოფენები განახლდება ყოველ ორ კვირაში 18 მაისამდე, მუზეუმის საერთაშორისო დღემდე და დასრულდება დასკვნითი ღონისძიებით. პირველი გამოფენის მონაწილეები არიან: ალუღიშვილი შორენა, ლომაშვილი ლილი. ბურდული ნინო, ვალუისკაია ვალენტინა, კვანჭიანი ნინო. დაწვრილებით ცნობებს შემდეგ წერილებში მოგაწვდით, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების კულტურაზე, მათი ნამუშევრების წარმოჩენაზე. მსურველები შეგვეხმიანეთ, თან წამოიღეთ ერთ-ერთი ნიმუში თქვენი შემოქმედებიდან, გპირდებით თანადგომას.

ქეთევან მჭედლიშვილი,
ხალხთა-მეგობრობის მუზეუმის დირექტორი.
ტელ: 551-45-25-20; 577-384-130.

ულოცავენ!

გულო გელაშვილს!

ჩემო მეგობარო გულო, შორიდან და ცივი ქვეყნიდან, მაგრამ თბილი გულით გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს შენს ოჯახთან ერთად და მეგობარ „შვიდეულთან“ ერთად.

შენ გაზაფხულზე დაიბადე, ალბათ, ამიტომ გაზაფხულის სითბო და სურნელი მოუტანე მეგობარ „შვიდეულს“ და დარჩი მუდმივ გაზაფხულად.

შორი მანძილი ჩვენ არ გვაშორებს
და ვერც მოსკოვის თოვლი და ყინვა
თითებზე ვითვლი ჩამოსვლის დღეებს
და უნებურად თქვენთან მომინდა.

ქ. მოსკოვი
ქეთევან ოზგეთელაშვილი

სიახლე დედოფლისწყაროში

ქირავდება!

ქირავდება ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. 32-ში მდებარე მაღაზია. ფასი შეთანხმებით. მაღაზია აღჭურვილია სათანადო მაცივარ-დანადგარებით.

მსურველები დაგვიკავშირდით:
599 217804 - ნუგზარი.